სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

№ 01 - 021401

ხელშეკრულება

ქ. თბილისი 14 თებერვალი, 2020 წელი

ერთი მხრივ, **შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“** (ს/კ: 412670097) (შემდგომში - „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის - გრიგოლ მანდარიას სახით და მეორე მხრივ, **შპს „გამა-გ“** (ს/კ: 406256420) (შემდგომში - „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი მისი დირექტორის - ანა ნოზაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს იგივე მნიშვნელობა, რაც სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონსა და მის საფუძველზე გამოცემულ სააგენტოს თავმჯდომარის სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ სხვა კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს შემსყიდველისათვის **ჰიგიენური საშუალებების** (CPV - **19600000** - ტყავის, ტექსტილის, რეზინისა და პლასტმასის ნარჩენი; CPV - **19640000** - პოლიეთილენის პაკეტები და ტომრები ნარჩენებისა და ნაგვისთვის; CPV - **39200000** - ავეჯის აქსესუარები; CPV - **39224300** - ცოცხები და ჯაგრისები და სხვა საოჯახო საწმენდი საშუალებები; CPV - **39224100** - ცოცხები; CPV - **39224320** - ღრუბლები; CPV - **39800000** - საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია; CPV - **39830000** - საწმენდი საშუალებები; CPV - **39832000** - ჭურჭლის სარეცხი საშუალებები; CPV - **39811300** - დეოდორანტები; CPV - **39831300** - იატაკის საწმენდები; CPV - **39831600** - ტუალეტის საწმენდები) მიწოდება (შემდგომში - „საქონელი“);

2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართ №1-ში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში;

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 4 043.00 (ოთხი ათას ორმოცდასამი) ლარს დღგ-ს გათვალისწინებით;

3.3. ერთეულის ფასები მოცემულია დანართ №1-ში (ფასების ცხრილი);

3.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს;

3.5. ხარჯები რომლებიც ხელშეკრულების ღირებულებაში არ არის გათვალისწინებული არ ექვემდებარება ანაზღაურებას.

4. ანგარიშსწორების წესი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ლარში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე;

4.2. ანგარიშსწორებისათვის შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის უნდა გაფორმდეს მიღება-ჩაბარების აქტი;

4.3. დაფინანსების წყარო: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ 2020 წლის საკუთარი სახსრები;

4.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის სრულად მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის, სასაქონლო ზედნადებისა და ანგარიშ-ფაქტურის მიმწოდებლის მიერ წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში;

4.5. წინასწარი ანგარიშსწორება არ გამოიყენება;

4.6. ანგარიშსწორებისათვის საჭირო დოკუმენტაცია (გარდა ელექტრონული დოკუმენტაციისა) მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს შემსყიდველის სათავო ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №76 "ბ" სამუშაო საათებში (09:00 - 18:00 საათამდე).

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონელი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ;

5.2. მიღება-ჩაბარების აქტს შემსყიდველის მხრიდან ხელს მოაწერს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სასაწყობე მეურნეობის სამსახურის უფროსი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში ამავე სამსახურის უფლებამოსილი წარმომადგენელი/წარმომადგენლები;

6. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან არაუმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში;

6.2. მისაწოდებელი/მიწოდებული საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დანართ №1-ში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს;

6.3. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს მიმწოდებლის ხარჯით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ სათავო ოფისის მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №76 "ბ" სამუშაო საათებში;

6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, ახალი, ექსპლუატაციაში არმყოფი, მაღალი ხარისხის საქონელი;

6.5. მიმწოდებლმა საქონლის მიწოდებისას უნდა წარმოადგინოს სასაქონლო ზედნადები.

7. მხარეთა უფლება–მოვალეობები

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) საქონლის მიწოდების დროს განახორციელოს საქონლის ხარისხისა და სხვა პირობების წინამდებარე ხელშეკრულების პირობებთან შესაბამისობის ინსპექტირება;

ბ) მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება;

7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ახალი, ექსპლუატაციაში არ მყოფი, უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო, მაღალი ხარისხის საქონლის მიწოდება;
ბ) დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;
გ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მისი ბრალეულობით გამოწვეული ნებისმიერი სახის მატერიალური და არამატერიალური ზარალი.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური კონტროლი (ინსპექტირება) ან/და გამოსცადოს შესყიდვის ობიექტი, რათა დარწმუნდეს მის შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან;
8.2. შემსყიდველის მხრიდან ტექნიკურ კონტროლს (ინსპექტირებას) ან/და შესყიდვის ობიექტის გამოცდას განახორციელებს სამეურნეო ჯგუფის უფროსი ან მისი არყოფნის შემთხვევაში ამავე ჯგუფის უფლებამოსილი პირ(ებ)ი;
8.3. ტექნიკური კონტროლის (ინსპექტირების) განმახორციელებელი პირ(ებ)ის ფუნქციაა მისაწოდებელი/მიწოდებული საქონლის რაოდენობის/მოცულობის, ხარისხისა და შესრულების ვადების ხელშეკრულებისა და დანართი №1-ის (ფასების ცხრილი) მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა;
8.4. მიწოდებული საქონლის ხელშეკრულებისა და დანართი №1-ის მოთხოვნებთან შეუსაბამობის შემთხვევში შემსყიდველი უფლებამოსილია უარი თქვას მის მიღებაზე;
8.5. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ტექნიკური კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან/და ხარვეზის ან/და ნაკლის აღმოფხვრა ან/და წუნდებული, დაზიანებული საქონლის შეცვლა ახალი (ექსპლუატაციაში არმყოფი) ანალოგიური პარამეტრების მქონე საქონლით;

9. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა, არასრული ან/და არაჯეროვანი შესრულება

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02 %-ის ოდენობით;
9.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, არასრული ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელი ჯარიმდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 3 (სამი) პროცენტის ოდენობით;
9.3. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
9.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან;
9.5. ამ მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო და პირგასამტეხლოს თანხები დაუკავდება მიმწოდებელს საქონლის ღირებულებიდან; იმ შემთხვევაში თუ საქონლის მიწოდება არ არის განხორციელებული მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შესაბამისი თანხა შემსყიდველის სასარგებლოდ; ხოლო, იმ შემთხვევაში თუ საქონლის ღირებულება ნაკლებია საჯარიმო

თანხაზე მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გადაიხადოს შემსყიდველის სასარგებლოდ საჯარიმო თანხებსა და საქონლის ღირებულებას შორის არსებული სხვაობა;

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შეცვლის პირობები განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

10.3. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

10.4. შემსყიდველი ვალდებულია 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს;

10.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით;

11.2. მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) კალენდარული დღის განმავლობაში შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ფორს-მაჟორი

12.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

12.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არის დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეულ იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით და ა.შ.;

12.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 (სამი) დღის ვადაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებებისა და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში გარემოება არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულად.

12.4. მხარეთა პასუხისმგებლობები და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

13.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

13.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ხელმოწერილია ან/და დამოწმებულია მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ;

13.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე;

13.5. წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 17 აპრილის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი"

შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია"
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. N76 "ბ"
ტელეფონი: +995 32 2919060
მომსახურე ბანკი: სს „ლიბერთი ბანკი" ცენტრალური ფილიალი
მომსახურე ბანკის კოდი: 220101480, LBRTGE22
ანგარიშის ნომერი: GE77LB0113123325230012
საიდენტიფიკაციო კოდი: 412670097

„მიმწოდებელი"

შპს „გამა-გ"
იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, ისნის რაიონი, ისააკ ალიხანიანის ქუჩა, № 7
ტელეფონი: +995 599 384 343
მომსახურე ბანკი: ს.ს "თიბისი ბანკი"
მომსახურე ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE11TB7754336080100011
საიდენტიფიკაციო კოდი: 406256420
ელ-ფოსტა: gamag85@yahoo.com

დირექტორი

გრიგოლ მანდარია

დირექტორი

ანა ნოზაძე

LLC united water supply company of georgia

Digitally signed by LLC united water supply company of georgia
Date: 2020.02.14 14:36:12 +04'00'

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	პლ. ცოცხი აქანდაზით	პლასტმასის გრძელი ჯოხიანი	ცალი	20	7.50	150.00
2	ჭურჭლის სარეცხი ჟელე 430 გრ (ფეირი პლატინიუმი)	15-30% ანიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები: 5-15% არაიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, კონსერვანტები, სურნელები.	ცალი	60	3.30	198.00
3	ჭურჭლის სარეცხი ღრუბელი	5 ცალიანი	ცალი	50	1.00	50.00
4	საწმენდი სითხე უნიტაზის 750 მლ	750 მლ (დომესტოსი)	ცალი	140	3.20	448.00
5	მინის საწმენდი სითხე (500 გრ)	500	ცალი	15	1.00	15.00
6	იატაკის საწმენდი სითხე 1000 გრ	ეკოლოგიურად სუფთა, არა ალერგიული. იატაკის, ხის ზედაპირის, აბაზანის და სამზარეულოს ავეჯისთვის. კაფელის და სანიტარული წერტილებისთვის	ცალი	150	5.00	750.00
7	ნიჟარის და მეტალის ზედაპირების საწმენდი საცხი	შემადგენლობა: 5% ანიონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, 5% არა იონური ზედაპირულად აქტიური ნივთიერებები, 5% საპონი, 5% კონსერვანტი, 5% სურნელი, 5% ციტრონოლოლი, 5% ლიკალოგი, 5% ბუტილფენილისმეთინისპროპიოკალი	ცალი	100	2.00	200.00
8	იატაკის ჯოხი	ხის მასალის	ცალი	10	4.00	40.00
9	ავეჯის საწმენდი სითხე	პრონტო	ცალი	35	10.00	350.00
10	იატაკის ტილო	80*60	ცალი	80	5.00	400.00
11	ტილო შუშის საწმენდი	მიკროფიბრა	ცალი	200	1.30	260.00

№	საქონლის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
12	ნაგვის პარკი დიდი	80X110 -10 ცალიანი	ცალი	300	0.50	150.00
13	ნაგვის პარკი პატარა	55X60 შავი 20 ცალიანი	ცალი	3200	0.06	192.00
14	აეროზოლი	300 მლ	ცალი	200	1.60	320.00
15	ბორჯღის სათარიგო თავი		ცალი	30	5.00	150.00
16	ბორჯღი ვედრით (იატაკის საწმენდი ჯოხი)		ცალი	10	22.00	220.00
17	ცოცხი	ქართული, ნატურალური	ცალი	30	5.00	150.00
		სულ ჯამი (დღგ-ს გათვალისწინებით):				4043.00

"შემსყიდველი"
შპს „საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია"

დირექტორი

გრიგოლ მანდარია

"მიმწოდებელი"
შპს "გამა-გ"

დირექტორი

ანა ნოზაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ჰიგიენური საშუალებების შესყიდვა

შპს „გამა-გ"

№ 01 – 021401 ხელშეკრულება

ქ. თბილისი **14 თებერვალი, 2020 წელი**

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" მიერ **ჰიგიენური საშუალებების** შესყიდვის განხორციელებაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს მე–8 მუხლის მოთხოვნებს და არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

დირექტორი:

გრიგოლ მანდარია _____

ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი:

ნინო მაჩაიძე _____

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი:

ლევან ლატარია _____

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის უფროსი:

ლაშა ერქომაიშვილი _____

სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის მთავარი სპეციალისტი:

თამთა ფაჩულია _____